MES 8 22 0000900578

12/08/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნილი სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ანა ლელაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
5	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
6	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	პოზიცია	საკითხი
1	ირაკლი ბრაჭული	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	რექტორი	I

2	პაატა გოგიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	კობა გელაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	თამაზ ვაჩაძე		კანცლერი	I
5	თეა კორძაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახწლმიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, VI
6	ნანა ბლიაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II, VI
7	ციცინო დავითულიანი		გეოგრაფიის დეპარტამენტი ხელმძღვანელი	II, VI
8	დავით მახვილაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV
9	გიორგი ქვარცხავა		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	III, IV
10	ნინო ლომიძე		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV
11	აკაკი გუნცაძე		გრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი.	III, IV
12	იოსებ სარჯველაძე		აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	III, IV
13	ნაილე ორჯანელი		ასისტენტ-პროფესორი	III, IV
9	მანანა ცინცაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV
10	სალომე პირველი	შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	V
11	მარიამ რამინაშვილი		პროგრამის ხელმძრვანელი	V
12	ქეთევან ჩიქვინიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	VI

		სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი		

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მერაბ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	გოგი გიოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნინო მილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
10	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	ელენე ჩერქეზია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობრლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კარედიტაციის საკითხის განხილვა

3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კარედიტაციის საკითხის განხილვა

3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი : ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კიბერუსაფრთხოება Cybersecurity
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოების მაგისტრი/ Master of Sciencein Information Technology Security ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: კიბერუსაფრთხოების მაგისტრი/ Master of Science in Cybersecurity
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება Software and applications development and analysis, 0612
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა, თბილისი, 0179, საქართველო

		სწავლების პირველ წელს სტუდენტები ორკვირიან სტაჟირებას გაივლიან ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტში, 1, ლუი ბი ნან დრაივ, ჰაილენდ ჰაიტს, კენტუკი, 41099, აშშ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ესპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები ასე გამოყურება:

რეკომენდებულია, შესაბამისობის დეტალური შეფასება, როგორც პროგრამის დასაწყისში, ასევე პირველი წლის დასრულებისას, რათა განისაზღვროს სწავლის მეთოდების ეფექტურობა სწავლის შედეგების მისაღწევად.
რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისთვის შემუშავდეს შესრულების ინდიკატორები და განისაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ეს შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე ნაკლებად დაყოფილ კურსის საერთო შეფასებას.
პროგრამას უნდა დაემატოს ტექნიკური უზრუნველყოფის უსაფრთხოების და უსაფრთხოების დაბალი დონის შემცველი კურსი და თემები.
შეიქმნას წინაპირობები შემდეგი კურსებისთვის:

- გამოყენებით კრიპტოგრაფიას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
- მონაცემთა უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
- შემთხვევაზე რეაგირებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
- კიბერუსაფრთხოებისთვის მანქანურ სწავლებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
- ქსელის უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
- ოპერაციული სისტემის უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოება წინაპირობად.
- ვებუსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოება წინაპირობად.
- გასწორდეს მონაცემთა უსაფრთხოების კურსის სილაბუსი.

დამყარდეს ფორმალური კავშირები სფეროს ინდუსტრიასთან, პრაქტიკული გამოცდილების შეძენის მიზნით, სტუდენტების სტაჟირებისთვის.
სტაჟირების პროგრამა უნდა დაემატოს პროგრამას პრაქტიკული უნარ-ჩვენების გაძლიერების მიზნით.
რეკომენდებულია, პროგრამის დაწყებამდე, ადმინისტრაციამ ნათლად განსაზღვროს, როგორ მუშაობს ის პრაქტიკაში, ასევე, შეფასების და შეფასების მეთოდები, რა ტრენინგები და საორიენტაციო სესიებია საჭირო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში უნდა მოხდეს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.
რეკომენდებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლება-სწავლის ორგანიზებასა და შეფასების მეთოდებში, ითვალისწინებდეს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს.
რეკომენდებულია, საგნების უმეტესი ნაწილი ჩატარდეს ადგილზე.
რეკომენდებულია, როგორც ზოგადი სამუშაოსათვის, ისე კონკრეტულად სამაგისტრო ნაშრომისათვის, რომ სანგუმ შექმნას პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა იცოდნენ პლაგიატის შესახებ რეგულაციები.
რეკომენდებულია, ნათლად განისაზღვროს ინდივიდუალური სტუდენტის როლი კულმინაციური ჯგუფური პროექტის დროს და შეფასების მექანიზმები მათი ინდივიდუალური კონტრიბუციის იდენტიფიცირების მიზნით.
პროგრამაში თანდათან უნდა გაიზარდოს პერსონალის რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.
განვითარდეს და განხორციელდეს პერსონალის ინდივიდუალური ტრენინგის გეგმები.

რეკომენდებულია, სანგუ-ს პერსონალს ჰქონდეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა კიბერუსაფრთხოების კომპეტენციების მიმართულებით, პროგრამის განახლებისა და აღნიშნულ სფეროში მიმდინარე სიახლეების გათვალისწინების მიზნით.
პროგრამის მდგრადობის შეფასების მიზნით, საჭიროა ნათლად განისაზღვროს:

- სწავლის გადასახადი.
- სტუდენტების მინიმალური რაოდენობა, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელების ხარჯების მხარდაჭერისთვის.
- პერსონალის პარტნიორ უნივერსიტეტში ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება.
- სტუდენტის პარტნიორ უნივერსიტეტში ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება

რეკომენდებულია, ორივე ინსტიტუციამ იმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმებისა და პრინციპების გაზიარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მსგავსი კურსების შეფასების პროცედურებს, შეფასების ციკლებს, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მუდმივ მონიტორინგს და რელევანტურ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს და დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს იმ მნიშვნელოვანი საქმისთვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დადებით მხარედ მიიჩნია ის ენთუზიაზმი, რომელიც აქვს ორივე უსდ-ს ამ პროგრამის განხორციელებისთვის. ათი ხედვით, პროგრამას აქვს ახლებური მიდგომა და აპირებს, გამოიყენოს ყველა არსებული რესურსი, რაც მათ ხელთაა. ვინაიდან პროგრამა ახალია, რეკომენდაციების უმეტესობა ეხება მის სამომავლო განვითარებას, შესაბამისად, გარკვეულწილად, შეუძლებელი იყო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ რეკომენდაციების გაცემა იმ პროგრამასთან მიმართებით, რომელიც ჯერ არ ხორციელდება. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს პროგრამა როგორც მისი დაწყების დროს, ისე მისი ამოქმედებიდან ერთი წლის თავზე. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება შესრულების ინდიკატორების შექმნას, რომელიც სამომავლოდ განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე გაიცა რეკომენდაციები გარკვეულ კურსებთან დაკავშირებით, რომლებიც სასურველია, რომ იყოს გათვალისწინებული პროგრამაში და, ასევე, ზოგიერთი კურსის წინაპირობებთან დაკავშირებითაც. ასევე გარკვეული რეკომენდაციები ეხება სტუდენტებს, მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას. ოგიერთი რეკომენდაცია ეხება პროგრამის საფასურს, აკადემიური პერსონალის განვითარებას და საერთო გამოცდილების გაზიარებას. აბოლოო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია პროგრამით, თუმცა გაიცა რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. ან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა საბჭოს წევრებს და მისი მოსაზრებით, რეკომენდაციები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ჯეფრი დიკს და მიმართა ჯგუფის დანარჩენ წევრებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება?

ჯგუფის წევრმა, ანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ თავმჯდომარემ სრულად აღწერა ექსპერტთა მოსაზრებები და დაამატა, რომ საკითხი, რაც ეხებოდა დისტანციურ სწავლებას, არ შედიოდა მათ კომპეტენციაში, რადგან ეს სამართლებრივად განსასაზღვრი მოცემულობა იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ კითხვები, პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი დაინტერესდა სილაბუსებით და მათი შინაარსით, რადგან მათი სტრუქტურა და ლიტერატურა განსხვავდებოდა არსებული სტანდარტებით გათვალისწინებულისგან და მიმართა ექსპერტებს, გამოეთქვათ აზრი ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობას მიება სწავლების გადასახადი, ბიუჯეტის საკითხები და პარტნიორ უსდ-ში ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება და დაინტერესდა, რამ განაპირობა რეკომენდაციის გაცემა ამ ნაწილში?

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა ისაუბრა სილაბუსის შესახებ: "გაღრმავებული სამაგისტრო თემები კიბერუსაფრთხოებაში" რომელსაც 6 კრედიტი აქვს დათმობილი და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის მიზნებია: "ეს კურსი იძლევა შესაძლებლობას, რომ გაგაცნოთ კიბერუსაფრთხოების ახალი სფეროები, რომლებიც ამჟამად არ არის გადაფარული ძირითადი ან არჩევითი კურსებით. შეიძლება, განმეორდეს კრედიტისთვის როდესაც თემები განსხვავდება; შეიძლება განმეორდეს კრედიტისთვის, როდესაც თემები არ მეორდება." მისი თქმით, ამ სასწავლო კურსში არ არის მოცემული მეტი ინფორმაცია თუ რა შედეგებზე გადის ეს კურსი, სახელმძღვანელოებს თუ იყენებენ, თემატიკა რა არის, ამის შესახებ არაფერია ცნობილი და მიმართა დაწესებულებას, მიეწოდებინათ ეტი ინფორმაცია აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით.
ის ასევე დაინტერესდა სამიზნე ნიშნულებით და აღნიშნა, რომ პროგრამის სამიზნე ნიშნულებში არის ასეთი ჩანაწერი: დამსაქმებელი აფასებს, რამდენად მიაღწია კურსდამთავრებულმა ამა თუ იმ სწავლის შედეგს? წავლის ყველა შედეგის მიღწევისათვის სამიზნე ნიშნულები არის შემდეგი: 80 ქულაზე მეტად უნდა შეაფასოს შედეგზე გასვლა დამსაქმებელთა არანაკლებ 70%-მა. აბჭოს წევრი დაინეტერესდა, დამსაქმებლის მიერ შეფასების რა მექანიზმი არსებობს პროგრამის სწავლის ყველა შედეგის მიღწევის შესაფასებლად და თუ მაგალითად 70%-ზე ნაკლებად შეაფასა, ამ შემთხვევაში რა ხდება? ან ასევე დააზუსტა, რომ შეკითხვა ეხებოდა როგორც უსდ-ს წარმომადგენლებს, ისე ექსპერტებს.

საბჭოს წევრი, ნათია ზედგინიძე დაინტერესდა 4.1 კომპონენტით და მიმართა ექსპერტებს, განემარტათ რეკომენდაცია, რომელშიც ეწერა, რომ თანდათან უნდა გაეზარდა უსდ-ს იმ აკადემიური პერსონალის რიცხვი, რომელიც ფლობს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს. ის დაინტერესდა, იყო თუ არა არადამაკმაყოფილებელი მათი რაოდენობა?

ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ, სთხოვა ეკატერინე შაკიაშვილს, გაემეორებინა შეკითხვა.

საბჭოს წევრმა დააზუსტა: სასწავლო კურსის სილაბუსი: "გაღრმავებული სამაგისტრო თემები კიბერუსაფრთხოებაში", ნახევარი გვერდიც არ არის და მხოლოდ მიზანია გაწერილი, ისიც საკმაოდ გაურკვევლად და სთხოვა ექსპერტს, გაეკეთებინა განმარტება, რა შედეგზე გადის და რა კურსია?

ასევე, ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა, რომ მისი შეკითხვა ეხებოდა სილაბუსების სტრუქტურას და აინტერესებდა ექსპერტების პოზიცია. მაგალითად, თემატიკასთან მიმართებით, როდესაც ჩამოყალიბებულია თემატიკა და ჩამოწერილია საკითხები, მითითებულია ზოგადი ლიტერატურა და არ არის მითითებული, რას მოიცავს, რას გულისხმობს და ამასთან დაკავშირებით რა პოზიცია ჰქონდათ ექსპერტებს?

მანანა ხაჩიძემ განმარტა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამისთვის სახელმძღვანელოების მოთხოვნის ვალდებულება გარკვეული მიმართულებებით, რადგან შეუძლებელია აღნიშნულ დარგში დაფიქსირდეს კონკრეტული სახელმძღვანელო, რადგან საკმაოდ ხშირად იცვლება, ვინაიდან ძალიან ცოცხალი ორგანიზმია

საინფორმაციო ტექნოლოგიები და მითუმეტეს კიბერუსაფრთხოება. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, ის რაც ქართულ რეალობაში გაგებულია სამიზნე ნიშნულად, უცხოურ ჭრილში ის სხვაგვარად აღიქმება. ასევე ყურადსაღებია, რომ პროგრამა არის ერთობლივი და რიგი რეგულაციები გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით და ის რომ ზოგადი სახით არის წარმოდგენილი ზოგი სილაბუსი, ამით არის განპირობებული, მითუმეტეს, რომ პარტნიორი უსდ-ს მხრიდან ამის მოთხოვნაც იყო.

ეკატერინე შაკიაშვილი დაინტერესდა, ეხებოდა თუ არა ექსპერტის განმარტება მის მიერ აღნიშნულ სილაბუსსაც?

მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ კონკრეტული სილაბუსი, რაც შემოთავაზებული იყო ზოგადი სახით, მიღებული პრაქტიკაა და დარგში აქტუალური საკითხების შესაბამისად ხდება თემატიკის შერჩევა. სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან დარგი მუდმივად ახლდება და ყველა განახლების დროს ახალი სილაბუსის შექმნა უბრალოდ წარმოუდგენელია. შესაბამისად, მოკლე აღწერაში მოცემულია მხოლოდ კურსის მიზანი.

ეკატერინე შაკიაშვილმა გაიმეორა შეკითხვა დამსაქმებლის მიერ სწავლის ყველა შედეგის შეფასებასთან მიმართებით. "სწავლის ყველა შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნული იყოს 80 ქულაზე მეტი." დამსაქმებელთა 70%-მა უნდა შეაფასოს ასე. და დაინტერესდა, რა მექანიზმი არსებობს დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასების?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უსდ-ს წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის და სასარგებლო რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.
მან უპასუხა შეკითხვას სასწავლო კურსის შესახებ, რომელიც მოიცავს 6 კრედიტს და რომლის მიხედვითაც, სტუდენტს შეუძლია, გაიაროს ის თემა, რომელიც არ იყო დაფარული პროგრამით მანამდე. ეს არის არჩევითი კურსი და 6 კრედიტის მოცულობით სტუდენტმა არჩევითი თემები უნდა დააგროვოს კონკრეტული სპეციფიკიდან. ვინაიდან ბევრი საინტერესო სასწავლო კურსი იკითხება, რომელიც ორგანულად უკავშირდება კიბერუსაფრთხოებას და როგორც მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, მომავალშიც შეიძლება გამდიდრდეს პროგრამა ასეთი კურსებით, ეს 6 კრედიტი კონკრეტული ჩამონათვალით არ არის შევსებული და სტუდენტს უფლება აქვს, აირჩიოს ნებისმიერი კურსი. ეს 6 კრედიტი ატარებს არჩევითის სტატუსს და არ მოეთხოვება კონკრეტული კურსის, კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევისთვის ნაბიჯების გადადგმა. ის უფრო თვალსაწიერის გაფართოებისკენ არის მიმართული. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, თუ როგორ აფასებს მათ დამსაქმებელი. დამსაქმებელს შეუძლია შეაფასოს მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც იქნებიან დასაქმებულნი მის ორგანიზაციაში. მან უნდა შეაფასოს, როდესაც სტუდენტი მივიდა მასთან სამუშაოდ, რამდენად იყო მზად იმ უნარებში, რაც გაწერილია სწავლის შედეგებში. მისი თქმით, უსდ იმედოვნებს, რომ ეყოლებათ ისეთი დამსაქმებლები, რომლებიც დაასაქმებენ მათ კურსდამთავრებულებს. მათი აზრით, ძალიან ღირებული იქნება ასეთი დამსაქმებლების მოსაზრებები, რადგან იმ შედეგების მიღწევა, რაც პროგრამაში იყო უსდ-ს მიერ გაწერილი, შეფასდება დამსაქმებლის მიერ. ასევე, უსდ-ს აქვს ნაფიქრი იმის შესახებ, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგები არ არის მიღწეული 70%-ის მიერ. პაატა გოგიშვილის თქმით, ეს ნიშნულები იმისთვის გაიწერა, რომ თუ სტუდენტთა 70% წარმატებით ვერ მიაღწევს ამ ნიშნულებს, ეს იქნება სიგნალი უსდ-თვის, რომ გადაიხედოს პროგრამა და გაუმჯობესდეს.
რაც შეეხება რეკომენდაციებს, პაატა გოგიშვილმა აღნიშნა, რომ უსდ დაეთანხმა რეკომენდაციების ნაწილს და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. შესაბამისად, რომელსაც

ეთანხმებოდნენ, იმ რეკომენდაციებზე აღარ ისაუბრებდა და აქცენტი გააკეთა მხოლოდ იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც უსდ არ დაეთანხმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია მათთვის, როგორც ეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემაც აღნიშნა და, ბუნებრივია, რომ, პირველი რეკომენდაცია, ძალიან ღირებულია მათთვის და პროგრამა 1 წლის თავზე, აუცილებლად, უნდა გადაიხედოს. შესაბამისად, ისინი დაეთანხმნენ აღნიშნულ რეკომენდაციას.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა სწავლის შედეგების შეფასებისთვის ურჩიეს, რომ არ დაეყრდნონ ჯამურ შეფასებას, არამედ ამოარჩიონ კონკრეტული აქტივობები, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგს კონკრეტულად პასუხობს. უსდ-ს მოსაზრებით ეს ძალიან კარგი რეკომენდაციაა, თუმცა მათ ისედაც ზუსტად ასე აქვთ მოაზრებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და ასახულიც აქვთ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში. ათ ამოწერილი აქვთ კონკრეტული კომპონენტები და სასწავლო კურსებში მოყვანილია ცხრილი, სადაც აღნიშნული კომპონენტები მითითებულია. შესაბამისად, უსდ-ს სულისკვეთება სრულად ემთხვევა ექსპერტთა მოსაზრებებს და არის კიდეც წარმოდგენილი პროგრამაში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შესრულებულია.
შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება აპარატურული მხარის კიბერუსაფრთხოების კურსებს. ექსპერტებმა ურჩიეს მათ, რომ დაამატონ ასეთი კურსები ცალკეული კურსების სახით, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს ასეთი ცალკეული კურსები არ აქვს პროგრამაში, აღნიშნული თემები ფრაგმენტულად ჩასმულია სხვადასხვა კურსებში. უსდ-ს ხედვა ასეთია: აპარატურული კიბერუსაფრთხოება განსხვავებული მიმართულებაა და მის შესწავლას უფრო დიდი წინარე ცოდნა სჭირდება ელექტრონიკაშიც, აპარატურაშიც, ვიდრე ეს საბაკალავრო საფეხურზე ზოგადად სხვადასხვა პროგრამებში ისწავლება, თუ ეს არ არის მაგალითად ელექტრული ინჟინერია. აგალითად, რომ ავიღოთ “Reverse Engineering” - ცალკეული კურსის სახით აზრი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ ძალიან დიდი საფუძველი ექნება სტუდენტს. წორედ ამიტომ არ შეიტანეს ეს კურსები და როდესაც ამ პროგრამის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს, წინასწარ შეისწავლეს 20-ზე მეტი სამაგისტრო პროგრამა და აღმოაჩინეს, რომ “Hardware”-თან დაკავშირებით უფრო ნაკლებად არის კურსები წარმოდგენილი. დასტურად კი მან ზუმის ე.წ. “Chat box”-ში საბჭოს შესაბამისი დოკუმენტაცია გაუგზავნა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, კობა გელაშვილმა თქვა, რომ ისინი უმეტესად ეთანხმებიან რეკომენდაციას, რომელიც ეხება წინაპირობების დამატებას და ნამდვილად უნდა დაემატოს წინაპირობები შემდეგ კურსებს: “გამოყენებითი კრიპტოგრაფია”, “მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება”, “ინცინდენტებზე რეაგირება”, “მანქანური სწავლება კიბერუსაფრთხოებისთვის” და “ქსელური უსაფრტხოება”. აგრეთვე, განახლდება მონაცემთა სისტემების სილაბუსი. რაც შეეხება “ოპერაციული სისტემების უსაფრთხოებას” და “ვებ უსაფრთხოებას”, ეს კურსები ისეა აწყობილი, რომ არ მოითხოვს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები იყოს მათი წინაპირობა. აღსანიშნავია, რომ ისინი ორივე არჩევითი კურსებია, რაც მეტ მოქნილობას მატებს პროგრამას, რადგან შეიძლება ეს არჩევითი კურსები წინაპირობების გარეშე ორივე სემესტრში იქნას შეთავაზებული სტუდენტებისთვის. ანუ, უსდ მეტწილად ეთანხმება რეკომენდაციას, მაგრამ აქვს გარკვეული მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ესწრებოდა სხდომას პარტნიორი უსდ-ს წარმომადგენელი?

კობა გელაშვილმა დაამატა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციით ექსპერტები ურჩევენ რომ დამოუკიდებელ კომპონენტად შემოიღონ პრაქტიკა, რაზეც უსდ-ს აქვს თავისი პოზიცია. როგორც უკვე აღინიშნა, მათ 20-ზე მეტი პროგრამა გააანალიზეს და იქ პრაქტიკის კომპონენტი ე.წ. “Internship” არსად იყო და ამიტომ, არ შეიყვანეს დამოუკიდებელ კომპონენტად, თუმცა ეს

არ ნიშნავს, რომ პროგრამა პრაქტიკას არ ითვალისწინებს. პირიქით, თითქმის ყველა კურსი, რაც პროგრამაშია შემოთავაზებული, მოიცავს ლაბორატორიულ და პროექტის კომპონენტებს და ისეთ თემებს, რაც ავითარებს პრაქტიკულ უნარებს და რაც გარკვეულწილად ანაცვლეს პრაქტიკის კომპონენტს. გარდა ამისა, არის კიდევ სხვა მიზეზები, რაც ართულებს პრაქტიკის კომპონენტის დამოუკიდებელ კომპონენტად გატანას. მათი აზრით, კერძო კომპანიები არ მიესალმებიან პრაქტიკას კიბერუსაფრთხოების ხაზით, რადგან ის დაკავშირებულია უსაფრთხოების საკითხებთან. მისი აზრით, როდესაც საქართველოში პრაქტიკაზე მიდის სტუდენტი კომპიუტერული მეცნიერებისა ან პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიმართულებით, მას აკეთებინებენ პროექტებს ფიქტიურ მონაცემებზე და ეს შესაძლებელია, მაგრამ რა მონაცემებზე შეიძლება იმუშაოს მომავალმა კიბერუსაფრთხოების ინჟინერმა? შესაბამისად, ამ ჩვევების მიცემა შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში და არ არის აუცილებლობა, პრაქტიკის კომპონენტი გავიდეს ცალკე.
მან ასევე ისაუბრა სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ, რაც უცხოელი სტუდენტების თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს. მან აღნიშნა, რომ 2021-2022 სასწავლო წლებში სანგუს არ ჰყავს არც ერთი უცხოელი სტუდენტი და უსდ არ გეგმავს მათ მოზიდვას მოკლევადიან პერსპექტივაში, შესაბამისად, ისინი ვერ ხედავენ ამ რეკომენდაციის აუცილებლობას.

პაატა გოგიშვილმა ისაუბრა პლაგიატთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ. დასკვნის პროექტში ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია პლაგიატზე რეაგირების წესის დამატების შესახებ, რაზეც უსდ-მ უპასუხა, რომ ასეთი წესი არსებობს და შემდეგ უკვე შეიცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და ექსპერტებმა ურჩიეს, რომ უზრუნველეყოთ ამ წესის სტუდენტებისთვის გაცნობა. თუმცა სოსო გოგიშვილის თქმით, ვიზიტის დროს, რომ ეკითხათ ექსპერტებს ამის შესახებ, ისინი მიაწვდიდნენ შესაბამის ინფორმაციას, მითუმეტეს, რომ მათ უნივერსიტეტში საკმაოდ ხშირად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები პლაგიატთან დაკავშირებით. ათ აქვთ პლაგიატის პროგრამაც, წესიც და მათი აზრით, ექსპერტებს, უბრალოდ, არ ჰქონდათ აღნიშნული ინფორმაცია.
რაც შეეხება რეკომენდაციას პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ, მათ იდენტიფიცირებული აქვთ ეს საკითხი როგორც გასაუმჯობესებელი მხარე და აქვთ ამისთვის დაგეგმილი კონკრეტული აქტივობები და ღონისძიებები, რაც თვითშეფასების ანგარიშშიც არის გაწერილი. ათი აზრით, ეს რჩევის სახითაც შეიძლებოდა ყოფილიყო მოყვანილი.
რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, თამაზ ვაჩაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გაწერილი იყო ყველაფერი, მაგრამ დაზუსტებული არ იყო და ეს იყო გარკვეულწილად შეცდომა, თუმცა ამას ჰქონდა გარკვეული მიზეზები. ქართული მხარის გამო მოხდა თანხის შემცირება, რის გამოც არ იყო მინიშნებული. რეალურად ღირებულება არის 19 000 ლარი, შემუშავდა შესაბამისი ბრძანება პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენლის და სწავლის საფასური არის 6 400 დოლარის ექვივალენტი ლარში. იმ პერიოდისთვის იყო 19 000 ლარი, დღევანდელი მდგომარეობით არის 17 728 ლარი კურსის შესაბამისად. დაფინანსების ორი წყაროა გამორჩეული ერთია თვითდაფინანსება და მეორე წყაროა, რასაც უსდ გამოყოფს. უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით გამოყო 570 000 ლარი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც გაზიარებულია ექსპერტებთან და ასახულია, რა რესურსი გააჩნია უსდ-ს და ამხელა თანხა არც ერთი პროგრამისთვის არ ყოფილა გამოყოფილი და ეს მოიცავს თითქმის 30 სტუდენტის მთელი წლის დაფინანსებას. გამორჩევის მიზნით, ბრძანებაში გაიწერა, რომ შეიქმნას შესაბამისი კომისია და მან განსაზღვროს, ვის მიეცეს სრული დაფინანსება და ვის არა. ასევე იყო საუბარი, სრული დაფინანსება მიეღოთ იმ სტუდენტებს, ვისაც 3.5 მეტი GPA ექნებოდა, თუმცა ამასთან მიმართებითაც იყო გარკვეული შენიშვნები და ამიტომ, ამ 570 000 ლარით მთლიანად ფინანსდება სტუდენტების სწავლის საფასურს. აც შეეხება სტუდენტების გამგზავრებას ამერიკაში 2 კვირით და ასევე პროფესორ-მასწავლებლების ჩამოსვლას 2 კვირით, სწავლის საფასურში იქნება გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, თუ სანგუ დააფინანსებს, ხოლო თუ

სტუდენტი თვითონ გადაიხდის სწავლის საფასურს, უსდ დააფინანსებს მხოლოდ ავიაბილეთს 2200 ლარის ოდენობით, ანუ 800$ ექვივალენტი. აც შეეხება ორი ასისტენტის დაფინანსებას, რაც მოიცავს ერთკვირიან ინტენსიურ კურსს, ესეც გაწერილია ბრძანებაში და მთლიანად ჯდება 6376 ლარი დღევანდელი კურსით და დათვლილია ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სადაც გაწერილია განთავსების და დღიური ხარჯები და მთლიანობაში მოიცავს 12 000 ლარს. ქედან გამომდინარე, ერთი სტუდენტის შემთხვევაშიც კი, უსდ მზად არის, დააფინანსოს მთლიანად კურსი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ადგილზე თუ იქნა დასმული შეკითხვა ამ საკითხთან დაკავშირებით?
მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს ფინანსური საკითხები წარმოდგენილი არ იყო, უსდ-მ ისინი წარმოადგინა მოგვიანებით და სწორედ ამან განაპირობა ზუსტად ეს შეკითხვა. ათ შორის, არ ყოფილა დაზუსტებული სწავლის ღირებულება, რაზეც თამაზ ვაჩაძე დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ მიაწოდა აღნიშნული დოკუმენტაცია, რაც ადასტურებდა თანხების არსებობას.
პაატა გოგიშვილმა, ასევე, ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების გაცემული რეკომენდაციის შესახებ და აღნიშნა, რომ მათ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება პარტნიორ უსდ-თან, რომელშიც ერთ-ერთი მუხლი სრულად ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფას და მათ მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს და აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ რადგან აკრედიტაციის პირობებში რეკომენდაციას სხვა წონა აქვს და რჩევას სხვა, უმჯობესი იქნებოდა, ეს საკითხი რჩევის სახით მიეცათ.
პაატა გოგიშვილის თქმით, ექსპერტთა რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია მათთვის, შესაბამისად, იზიარებენ. მან ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის ერთობლივი, რომელსაც ჰყავს პარტნიორი კენტუკის უნივერსიტეტის სახით და დაინტერესდა, იყვნენ თუ არა წარმოდგენილნი მისი წარმომადგენლები, ვინც ისაუბრებდა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით? ასევე სამომავლო გეგმებზე, თანამშრომლობაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, მათ აქვთ გაფორმებული მემორანდუმი, სადაც წერია პროგრამის მიზნების, ერთობლივი განხორციელების შესახებ და ასევე არის გაწერილი პროგრამის გაუქმების შემთხვევები. ააბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გაუქმების შემთხვევაში, თუ ჰქონდათ სხვა რომელიმე პარტნიორ უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე არსებული სტუდენტების მობილობას?
ის, ასევე, დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკითხით. ისი თქმით, პროგრამაში წერია, რომ ყველა პერსონალს შეუძლია, უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს. რაზეც კობა გელაშვილმა უპასუხა, რომ აქ იგულისხმებოდა სამაგისტრო პროექტი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რას მოიცავს ეს პროექტი, არის თუ არა კვლევითი კომპონენტი? და აქვს თუ არა პროგრამაზე არსებულ პერსონალს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია რომ ამ პროექტს უხელმძღვანელოს?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს თუ ჰქონდათ კიდევ დამატებითი შეკითხვები?
მან ასევე შეკითხვა დაუსვა ექსპერტებს, ვიზიტის ფარგლებში ხომ არ ჰქონდათ საშუალება, პარტნიორ უნივერსიტეტთან საუბრის და ამ საკითთან დაკავშირებით როგორი იყო მათი პოზიცია? რადგან ეს მათი პროგრამაც არის.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ დააზუსტა, თუ როგორ ხდება სამაგისტრო პროექტის შეფასება? დოკუმენტაციაში არ არის გაწერილი ეს საკითხი, რადგან იქ მოცემულია ჯგუფური პროექტი

და წერია, რომ ხუთ სტუდენტს შეუძლია ერთი პროექტი გააკეთოს და, შესაბამისად, არ არის გაწერილი თუ როგორ შეფასდება თითოეული სტუდენტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და დაინტერესდა, აპირებენ თუ არა ამის დეტალურად აღწერას?
უსდ-ს წარმომადგენელმა, ინგა ნაფეტვარიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტებს და გამოთქვა იმედი, რომ პროგრამა წარმატებულად გავა, რადგან ის არამარტო უნივერსიტეტს, არამედ მთლიანად ქვეყანას სჭირდება. რაც შეეხება ამერიკული მხარის ჩართულობას, მან აღნიშნა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, ჩართულები ყოფილიყვნენ მათი კოლეგები, მაგრამ დროში სხვაობის გამო, მათი ჩართვა ვერ მოხერხდა, თუმცა 2 წლის განმავლობაში ერთად იმუშავეს, საქართველოშიც იყვნენ ჩამოსულები და დიდი ენთუზიაზმით არიან განწყობილნი დარგის გაძლიერების და სპეციალისტების მომზადების საკითხში, რომლებიც რეგიონს და ქვეყანას გამოადგება. რაც შეეხება პროგრამის გაუქმების საკითხს, ეს საკითხი ნამდვილად არ არის გაწერილი, თუმცა სანგუს აქვს კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა, რაც მომიჯნავეა კიბერუსაფრთხოებისა და არ იქნება პრობლემა სტუდენტების გადაყვანის.
სამაგისტრო პროექტთან დაკავშირებით, პაატა გოგიშვილმა უპასუხა, რომ პროექტი იწერება ჯგუფურად და თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის პროექტს. რაც შეეხება ხელმძღვანელს, ჯგუფს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი. შეფასების სისტემა კი წარმოდგენილია დოკუმენტის ბოლოში, სადაც აღწერილია ის კრიტერიუმები, რომელიც სწორად ასახავს სტუდენტის მიღწევებს. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, იმ ხალხს, ვინც ჩართულია პროგრამაში, ყველას აქვს გარკვეული კვალიფიკაცია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, ოღონდ მათი კვალიფიკაცია არ არის ყოვლისმომცველი კიბერუსაფრთხოების ყველა დარგში. მაგალითად, თავად პაატა გოგიშვილს შეუძლია უხელმძღვანელოს მანქანურ სწავლებას და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებებთან დაკავშირებულ პროექტებს. კობა გელაშვილს შეუძლია უფრო კრიპტოგრაფიასთან დაკავშირებული პროექტის ხელმძღვანელობა. შესაბამისად, ყველას გარკვეული კვალიფიკაცია აქვს, პროექტის სახელმძღვანელოდ.
კობა გელაშვილმა დასძინა, რომ შეარჩიეს სამაგისტრო პროექტები და არა ნაშრომები, იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშაობს კვალიფიციური პერსონალის, მათ შორის ნახევარი ამერიკელია. დიდია ალბათობა, რომ რასაც კურსის ფარგლებში ვერ მოასწრებენ, იმ თემაზე გაგრძელებას მოისურვებს სტუდენტების ნაწილი და შესაბამის ლექტორთან ექნებათ საშუალება, უფრო გაღრმავებული პროექტის გაკეთების. მისი აზრით, 5-6 სტუდენტი ერთ პროექტში ცოტა გადაჭარბებულია და 2-3 საკმარისი იქნებოდა. შინაარსში, შესაძლოა, იყოს კვლევითი კომპონენტიც და ტექნოლოგიურიც. ნებისმიერ შემთხვევაში, სიახლე უნდა იყოს. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, უსდ-ს აქვს კომპიუტერული მეცნიერების აქტიური პროგრამა, საკმაოდ წარმატებული და ამ თემაზე უსდ, ასევე, მუშაობს. სამეცნიერო კომპონენტის სერიოზულად არსებობის შემთხვევაში, უსდ მიიჩნევს, რომ თუ ხელმძღვანელს არ ექნება სამეცნიერო ხარისხი, დაინიშნება ორი ხელმძღვანელი და მეორეს აუცილებლად ექნება კავშირი საკითხთან, თავის დაზღვევის მიზნით. ამერიკული მხარიდან ყველას აქვს ხარისხი, ქართველებს, ალბათ 2-3 ადამიანს არ აქვს მხოლოდ, მაგრამ აქვთ თემატური მუშაობით სერიოზული გამოცდილება.

გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, ერთობლივად უზრუნველყოფენ თუ არა სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელობას? რაზეც კობა გელაშვილმა უპასუხა, რომ შესაძლებელია, იყოს ორი ხელმძღვანელი. მაგალითად, თუ ქართველ ლექტორს არ აქვს სამეცნიერო ხარისხი, იგულისხმება დოქტორის ხარისხი, დაემატება მეორე ხელმძღვანელი. ასევე, სამაგისტრო ნაშრომზეც შესაძლებელია ერთდროულად ორი ხელმძღვანელის ყოლა. მან ასევე დასძინა, რომ ამერიკული მხარე ჩაერთო ექსპერტებთან ინტერვიუებზე და შესაძლოა, შვებულების გამო ვერ შეძლეს ჩართვა.
ექსპერტმა დავით კაკიაშვილმა გააკეთა განმარტება პლაგიატის პრევენციასა და სამაგისტრო პროექტთან დაკავშირებით. ისი თქმით, ექსპერტებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სანგუში აქტიურად იყენებენ პლაგიატის პრევენციის მექანიზმებს და სტუდენტები ინფორმირებულნი

არიან ამის შესახებ და ტარდება გარკვეული ღონისძიებებიც, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სპეციალურად კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამისთვის შეიქმნა სამაგისტრო კვლევის პროექტის შესრულების ინსტრუქცია, სადაც ნათლად არის გაწერილი პროექტის თეზისის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია პლაგიატის შემოწმების ნაწილის განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობდა როგორც სტუდენტების ინფორმირებულობას, ასევე მნიშვნელოვანი ეტაპი განისაზღვრებოდა დაცვამდე ამ პროექტის. ექსპერტებს, ასევე, ჰქონდათ რეკომენდაცია სამაგისტრო პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით და მიიჩნიეს, რომ მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო 5-6 სტუდენტის როლი პროექტის ჯგუფში და მათი შეფასების მექანიზმები უნდა გაწერილიყო ინდივიდუალურად, რასაც უსდ დაეთანხმა, რომ გარკვეული ცვლილებები იყო საჭირო შესრულების ინსტრუქციაში და პლაგიატის მექანიზმის დამატება სირთულეს არ წარმოადგენდა. რაც პირიქით, ხელს შეუწყობს სტუდენტების ინფორმირებულობას და განავითარებს პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები? ან ასევე მიმართა ექსპერტებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება? მან იგივე კითხვით მიმართა უსდ-ს წარმომადგენლებსაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 17:12

სათათბირო შესვენების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა ერთობლივია, საბჭოსთვის მნიშვნელოვანია, მოისმინოს ორივე მხარის გამყარებული პოზიცია. შესაბამისად, ამერიკული მხარის მოსმენის გარეშე, საბჭომ ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება, გადადო საკითხის განხილვა შემდეგი სხდომისთვის და მიმართა სანგუს წარმომადგენლებს, უზრუნველეყოთ პარტნიორი უსდ-ს ჩართულობა შემდეგი სხდომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადება;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[4]-ე მუხლის, მე-8 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადადო საკითხი შემდეგი, 2022 წლის 05 აგვისტოს ჩანიშნული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განხილვისთვის.

მეორე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კარედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია/Geography
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება No61.7. 09. 2018 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის მაგისტრი Master of Geography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ამარ მეფის ქუჩა N 59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N 1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 27 აპრილის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და 2022 წლის 27 მაისს, ქ. ქუთაისში განახორციელა ვიზიტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მისი განხორციელების გზები. ინტერვიუს დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა ძირითადი მიგნებები. ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე, შესწავლილი იქნა მოწოდებული სილაბუსები და პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ფაკულტეტზე იქნა შემუშავებული. ასევე დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი — საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი — სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი — სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი — სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამა არის შევსებული და გაუმჯობესებული, მისი დღევანდელი ვარიანტი ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად პანდემიისა, სასწავლო პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მთლიანობაში პროგრამა იმსახურებს მაღალ შეფასებას. ისი თქმით, ყველა შეხვედრა იყო შედეგიანი, თუმცა მან გამოყო შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომელმაც გულთბილ გარემოში ჩაიარა. ათ სამართლიანად შეაფასეს უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა და გამოთქვეს სურვილები, რაც აქვთ პროგრამის მიმართ. სტუდენტები კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მათ აღნიშნეს, რომ თავს გრძნობდნენ მეგობრულ, მშობლიურ გარემოში, რის გამოც, ბევრი მომიჯნავე ფაკულტეტიდან აბარებენ ამ პროგრამაზე. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, ინტერვიუების ანალიზის და ლაბორატორიული ბაზის დათვალიერების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა იმსახურებს კარგ შეფასებას. მან, ასევე, გამოყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი და აღნიშნა მათი გამოცდილება და პროფესიონალიზმი. მისი თქმით, უსდ-ში მიმდინარეობს თაობათა ღირსეული ცვლა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ბოლო პერიოდში სამმა ახალგაზრდა დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია გეოგრაფიის მიმართულებით და წარმატებით ახორციელებენ აკადემიურ საქმიანობას მათივე უნივერსიტეტში. მან განსაკუთრებით აღნიშნა საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც არის მოქნილი ელექტრონული ბაზები, რაშიც ფასდაუდებელია ბიბლიოთეკის დირექტორის წვლილი. მისი თქმით, პროგრამაში საკმაოდ კარგად ხორციელდება საველე გეოგრაფიული ნაწილი. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები და მხოლოდ რჩევებით შემოიფარგლნენ, რომლებიც შემდეგნაირად გამოიყურება:

სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა;

- სასურველია, რომ ძირითადი ლიტერატურის სიიდან ამოღებული იყოს კვლევითი ინსტიტუტების შრომები და გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი ლიტერატურა;
- სასურველია, პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტად ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაფართოების მიზნით;
- სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები;
- სასურველია, შესაბამისი პროფილის ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით;

- სამაგისტრო ნაშრომში ტექნიკური მოთხოვნების და გაფორმების წესის სრულად დაცვა, ასევე კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის კვლევით ნაწილში მეტი ოდენობით იქნეს გამოყენებული თანამედროვე უცხოენოვანი წყაროები;
- სასურველია პრაქტიკის არეალის და ხანგრძლივობის გაზრდა სამაგისტრო თემატიკის შესაბამისად;
- სასურველია მაგისტრებისთვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის დაწესებულებებიდან;
- სასურველია საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოპოვების ხელშეწყობის გაზრდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ;
- სასურველია, რომ დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს საერთაშორისო ფორუმებში და გაცვლით პროგრამებში აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ჩართვის სტიმულირება;
- სასურველია ლაბორატორიული ბაზის მეტად განახლება და კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის უფრო გაძლიერება და გაღრმავება;
- სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირება;
- სასურველია, რომ გარე შეფასება განხორციელდეს განახლებულ პროგრამასთან მიმართებაში, პროგრამის სწავლის შედეგების, შინაარსისა და სტრუქტურის რელევანტურად

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებში გვხვდება ერთი და იგივე შეფასება, შესაბამისად დააზუსტა თუ მოხდა აღნიშნულის შემოწმება? ასევე აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა სამაგისტრო საფეხურისაა, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხორციელდება პროექტი, თუ მოხდა სამაგისტრო ნაშრომების შეფასება და როგორი სტრუქტურისაა, რამდენად გამართულადაა გაფორმებული და თუ შეესაბამება უსდ-ში არსებულ წესს?

რაზეც ნოდარ ფოფორაძემ უპასუხა, რომ ექსპერტები გაეცნენ რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, რომლებიც საკმაოდ კარგ დონეზეა შესრულებული და, რაც მთავარია, გათვალისწინებულია კვლევის კომპონენტი, სადაც, გარდა უნივერსიტეტის არსებული ბაზისა, გამოყენებულია ქუთაისში არსებული გარემოს ეროვნული სააგენტოს დაცული ტერიტორიების ბაზები. შესაბამისად, კვლევის კომპონენტი ყველა ნაშრომში საკმაოდ კარგ დონეზეა წარმოჩენილი, რასაც, ასევე, აღნიშნავენ დამსაქმებლებიც, რომელთან ერთად ზოგიერთი ნაშრომი შესრულებულია. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ყველა კურსში არის შესაბამისი ლიტერატურა, რიდერები. ბიბლიოთეკა მაღალ დონეზე ფუნქციონირებს. წინა წლებთან შედარებით, ბაზა შევსებულია და ყოველწლიურად ივსება. მან, ასევე, აღნიშნა დისის პროგრამა, რომლის ცოდნის საფუძველზეც, წარმატებით საქმდებიან პროგრამის კურსდამთავრებულები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა, თუ რა იგულისხმება 2.4 კომპონენტში ექსპერტების მიერ გაკეთებულ ჩანაწერში, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებაში და დაინტერესდა, იგულისხმებოდა თუ არა ამაში სამაგისტრო ნაშრომი, თუ სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყო სხვა კვლევითი პროექტები, მაგალითად საგრანტი პროექტები? ანუ აქვთ თუ არა დამატებითი სამეცნიერო კვლევითი პროექტები?

ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში ხორციელდება გარემოს ეროვნული სააგენტოს საკმაოდ მძლავრი პროექტი და სტუდენტები ამ პროექტშიც არიან ჩართულები, ისევე როგორც შიდა საგრანტო პროექტებში.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესებულებას დამსაქმებელთან ჩართულობის გაზრდა პრაქტიკული ნაწილის გაფართოების მიზნით და იგეგმება თუ არა ამ კუთხით რაიმე ღონისძიება?
უსდ-ს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და პროგრამის ხელმძღვანელს, ნანა ბლიაძეს სთხოვა, ეპასუხა საბჭოს შეკითხვებისთვის.
ნანა ბლიაძემ აღნიშნა, რომ ქუთაისში, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში, რომელიც ატარებს გარკვეულ პროექტებს, მათი მაგისტრები იყვნენ სტაჟირებაზე და სტაჟირების დასრულების შემდეგ, რამდენიმე მაგისტრი წარმატებით დასაქმდა ობსერვატორიაში. შესაბამისად, მათი ერთ-ერთი ძირითადი დამსაქმებელი, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად, არის კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია, რომლის პროექტებში ჩართულნი არიან აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები.
ირინა გველესიანმა კვლავ დააზუსტა, თუ იგეგმება გაფართოება ამ თვალსაზრისით?
ნოდარ ფოფორაძემ დასძინა, რომ რჩევა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დამსაქმებლები მზად არიან, სტუდენტების მეტი ჩართვისთვის მათ პროექტებში და შეუძლიათ თანახელმძღვანელობა გაუწიონ სტუდენტებს. შესაბამისად, რა თქმა უნდა, იგეგმება ურთიერთობის გაფართოება ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტმა თქვა, მკაფიოდ არის გამოხატული კვლევითი კომპონენტი და რამდენადაც მან გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს, აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ნაკლებად იყენებენ ციტირებას, მიუხედავად იმისა, რომ ისწავლება აკადემიური წერა, ციტირების წესი, მისი მნიშვნელობა და დაინტერესდა, რა იყო ამის მიზეზი? მან ასევე აღნიშნა, რომ ადგილების რაოდენობა იზრდება, მაგალითად 2021 წელს იყო 15 ადგილი, თუმცა მიღებულია მხოლოდ 3 სტუდენტი, ანუ იკლებს სტუდენტების რაოდენობა და დააზუსტა თუ რა არის მიზეზი სტუდენტთა რაოდენობის კლებისა და რა ღონისძიებების გატარებას ფიქრობს დაწესებულება დარგის პოპულარიზაციისთვის და სტუდენტთა მოსაზიდად?
ნანა ბლიაძემ უპასუხა, რომ მათ გამოცხადებული ჰქონდათ 10 ადგილი წლების მანძილზე, თუმცა ეს იყო პანდემიამდე და იმის პარალელურად, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობა იზრდებოდა, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის სურვილი გამოთქვეს არამხოლოდ გეოგრაფიის ბაკალავრის კურსდამთავრებულებმა, არამედ ტურიზმის და სხვა მიმართულებების კურსდამთავრებულებმაც, რის საფუძველზეც დაწესებულება ელოდებოდა სტუდენტთა რაოდენობის ზრდას აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა პანდემიამ ადგილების რაოდენობა შეამცირა, თან პროგრამას უწევდა რეაკრედიტაცია და ეს გახდა აუთვისებელი ადგილების ძირითადი მიზეზი. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, მან აღნიშნა, რომ გაფორმებისას იყენებენ ჩიკაგოს სტილს, რაც ახალია უსდ-თვის. უმეტესად ციტირებასთან ერთად ანალიზი ხდება ამა თუ იმ მეცნიერის, რის გამოც ნაკლებად ხდება ციტატების გამოყენება.

გურანდა ჭელიძემ დააზუსტა, ითხოვს თუ არა რომელიმე მეცნიერის მოსაზრების ჩართვა საკუთარ ნაშრომში პერიფრაზის სახით კონკრეტული წყაროს მითითებას.
რაზეც ნანა ბლიაძემ უპასუხა, რომ ნებისმიერი მეცნიერის რაიმე მოსაზრების ან თეორემის გამოყენებისას, ხდება მითითება და შემდეგ მოწმდება პლაგიატზე.
ნოდარ ფოფორაძემ დასძინა, რომ ექსპერტებმა გასცეს რჩევა იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის დიდი რაოდენობით უცხოური ლიტერატურა, რაც აიხსნა იმით, რომ რადგან რეგიონის მასშტაბით ხორციელდება კვლევები, უცხოური ლიტერატურაც ნაკლებია.

ნანა ბლიაძემ დასძინა, რომ თემატიკა არის მაგალითად ასეთი: ლეჩხუმის ლანდშაფტები ან იმერეთის ლანდშაფტები, სადაც რთულად მოსაპოვებელია უცხოური ლიტერატურა და ალბათ ამით არის განპირობებული ინგლისური ლიტერატურის სიმწირე, თუმცა მათთვის მისაღებია რჩევა და გაზრდიან ინგლისური ლიტერატურის წილს.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა, გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკა. რაქტიკის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი კრედიტების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, მაგრამ კურსის შინაარსში მხოლოდ 1-2 კვირაშია გაწერილი, რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა და დანარჩენი კვირების განმავლობაში წერია ასე: ქუთაისი-წყალტუბო-ხონის მიდამოების კვლევა. ქუთაისი-ტყიბული-ნაქერალას უღელტეხილი და ა.შ. რეალურად არ არის მითითებული რა საკითხები უნდა გაიარონ სტუდენტებმა პრაქტიკის დროს და დაინტერესდა, თუ რატომ არ არის დეტალურად გაწერილი პრაქტიკის საკითხები? ის ასევე დაინტერესდა, ჩაშენებული პრაქტიკის შემთხვევაში როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის პარალელურად და ასევე, დაინტერესდა, რა პროცედურებით ხდება შიდა გრანტების გაცემა?
ნანა ბლიაძემ უპასუხა, რომ პრაქტიკის ნაწილში წერია ოკრიბა-არგვეთის სერი, რადგან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში და რადგან ეს ფიზიკური გეოგრაფიაა, გულისხმობს კომპლექსურ კვლევას, რაშიც იგულისხმება გეოლოგია, რელიეფის გეომორფოლოგია, კლიმატი და ნიადაგ-მცენარეული საფარი ანუ, ეს არის კომპლექსური, ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევა.
თეა მჭედლურმა დააზუსტა, ხომ არ ჯობდა, ეს გაწერილი ყოფილიყო სილაბუსში?
ნანა ბლიაძემ უპასუხა, რომ შესაძლებელია ამის ჩაშლა, რაც არ არის რთული, მაგრამ უსდ-მ მიიჩნია, რომ ეს მოიცავდა კონკრეტულ ფიზ-გეოგრაფიულ დახასიათებას. ჩაშენებული პრაქტიკა ტარდება კვირის ბოლოს და მოკლე მანძილზე გაყავთ სტუდენტები.
გრანტებთან დაკავშირებით ციცინო დავითულიანმა დააზუსტა, რომ ფაკულტეტზე ცხადდება შიდა გრანტები, სადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ კლიმატური, ჰიდროლოგიური, ნიადაგური საფარის და ლანდშაფტების შესწავლაში.
თეა მჭედლურმა კვლავ დააზუსტა, ამ გრანტებს ლექტორები აკეთებენ სტუდენტების ჩართვით? რაც დაუდასტურა ციცინო დავითულიანმა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას გაწერილი აქვს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისა და შეფასების წესი. შესაბამისად, დააზუსტა მოეთხოვება თუ არა მაგისტრანტს აღნიშნული წესის სრულყოფილად დაცვა, ვინაიდან არც ერთი სამაგისტრო ნაშრომი არ აკმაყოფილებს აღნიშნული წესის მოთხოვნებს, არ არის ანოტაციები, სარჩევში არ არის მითითებული გვერდები, შესავალში არ არის აქტუალობის დასაბუთება, თუმცა არცერთი ნაშრომი არ პასუხობს ამ წესებს და ხომ არ არის ეს ნაწილი დასახვეწი?
ანა ბლიაძემ უპასუხა, რომ უსდ-მ 2022 წლიდან მიიღო საერთო საუნივერსიტეტო დებულება და წელს ამის შესაბამისად გაკეთდა სამაგისტრო ნაშრომები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებულია, რომ სტუდენტებს დასაქმება შეუძლიათ სკოლაში და დააზუსტა თუ როგორ მოდის აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან? იგულისხმება რომ მასწავლებლად საქმდებიან? ომ არ უფიქრია უსდ-ს რომ ეს უნდა იყოს მითითებული პროგრამაში, რათა მაგისტრანტს არ შეექმნას ილუზია,, რომ მაშინვე შეძლებს მასწავლებლად მუშაობის დაწყებას.
ანა ბლიაძემ განმარტა, რომ მაგისტრატურის კურსდამთავრებული შემდგომ გადის 60 კრედიტიან მასწავლებლის პროგრამას და ამის შემდეგ მას შეუძლია უკვე სკოლაში დასაქმება და ისინი ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ.
გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა, არის თუ არა ჩაწერილი მინიმალური მოთხოვნები, რომ ნაშრომს უნდა ჰქონდეს კვლევითი საკითხები, ჰიპოთეზა და ა.შ როგორ ხდება ნაშრომის გაფორმება?

ნანა ბლიაძემ განმარტა, რომ ნაშრომის სილაბუსში წერია, რომ ფასდება კვლევის აქტუალობა, არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნის უნარების დემონსტრირება, დასკვნები და შედეგები, სიახლის დასაბუთების უნარი, ნაშრომის გაფორმების სტანდარტები, ინფორმაციის სამართლებრივი და ეთიკური გამოყენება, ჩაშლილად ფასდება თითოეული თემის მიხედვით. თანმიმდევრულად არის მოცემული საკითხები, როგორ უნდა აეწყოს და გაფორმდეს სამაგისტრო ნაშრომი და თითოეული პუნქტი ფასდება 10 ქულით.
გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, არის თუ არა საუნივერსიტეტო დონე ყველა სილაბუსში ერთნაირი შეფასება?
თეა კორძაძემ დააზუსტა, რომ უნივერსიტეტის სტანდარტით შუალედური გამოცდა არის 30 ქულა, დასკვნითი 40 და შეფასება 30 ქულაა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:12
დასრულების დრო: 17:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 01 ივლისამდე.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1.2 პროგრამის აღწერით ნაწილში დასაქმების სფეროს პუნქტში გადაიხედოს სკოლებში დასაქმების შესაძლებლობა და დაკორექტირდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2.4 პრაქტიკის სილაბუსის შინაარსში დეტალურად გაიწეროს ყოველკვირეული აქტივობები.
3.2 სამაგისტრო ნაშრომში ტექნიკური მოთხოვნების და გაფორმების წესის სრულად დაცვა, ასევე კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის კვლევით ნაწილში მეტი ოდენობით იქნას გამოყენებული თანამედროვე უცხოენოვანი წყაროები

რჩევები:

1.2 სასურველია პროგრამის განხორციელებაში დამსაქმებლების მეტად ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაფართოების მიზნით.

2.2 სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა

2.3 სასურველია ძირითადი ლიტერატურიის სიიდან ამოღებული იყოს კვლევითი ინსტიტუტების შრომები და გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი ლიტერატურა; - სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტად ჩართულობა სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაფართოების მიზნით; - სილაბუსებში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

2.4 სასურველია შესაბამისი პროფილის ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო, სამეცნიეროკვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით; - სამაგისტრო ნაშრომში ტექნიკური მოთხოვნების და გაფორმების წესის სრულად დაცვა; - სასურველია პრაქტიკის არეალის და ხანგრძლივობის გაზრდა სამაგისტრო თემატიკის შესაბამისად; - სასურველია მაგისტრებისთვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის დაწესებულებებიდან.
2.6 სასურველია ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების კრიტერიუმები უნიფიცირების თავიდან აცილების მიზნით
4.2 სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოპოვების ხელშეწყობის გაზრდა; § სასურველია დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს საერთაშორისო ფორუმებსა და გაცვლით პროგრამებში აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ჩართვის სტიმულირება

4.3 რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია ლაბორატორიული ბაზის მეტად განახლება და კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის უფრო გაძლიერება და გაღრმავება;
5.1 სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.
5.2 სასურველია გარე შეფასება განხორციელდეს განახლებულ პროგრამასთან მიმართებაში, პროგრამის სწავლის შედეგების, შინაარსისა და სტრუქტურის რელევანტურად

3.მესამე საკითხი : სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა Animal Husbandry
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსგადაწყვეტილება No55, 05/03/2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცხოველეობის ბაკალავრი Bachelor of Animal Husbandry
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0811 მემცენარეობა და მეცხოველობა/ Crop and livestock production (0811.2.3 მეცხოველეობა/ Animal Husbandry)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0192, თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N17, თბილისი, მე-11 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე. 2022 წლის 14 ივნისს განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით.
აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტით, რომელიც წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, გაესაუბრნენ ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებს და დაათვალიერეს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში. ასევე, შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2019 განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნას და რეკომენდაციებს, რომლებიც განხილულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, და მოისმინეს დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებები ამ რეკომენდაციებთან და მათ შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი მიგნებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის, დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრებისა და პროგრამის მატერიალურტექნიკური რესურსის დათვალიერების შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დასკვნის პროექტი.
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - არ შეფასებულა.
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. უნდა გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ერთდროულად მოიცავს არაერთგვაროვან/განსხვავებულ კომპეტენციებს (მაგ., ცოდნას და უნარს), რაც უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვადობას და მიღწევის დადასტურების შესაძლებლობას.
2. პროგრამის შედეგის (კვლევითი პროექტის განხორციელების უნარის) მიღწევა იყოს უზრუნველყოფილი ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების დონეზე, მათ შორის შესაბამისი შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით.

3. უნდა გამოირიცხოს პროგრამის სწავლის შედეგისა და სხვადასხვა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსების შედეგების იდენტურობა.
4. ცხოველთა ანატომიის საგნის სწავლება წარიმართოს 2 სემესტრის განმავლობაში;
5. სასწავლო კურსი „შინაურ ცხოველთა ანატომია“ – 1) ლაბორატორიული მეცადინეობა ჩანაცვლდეს პრაქტიკული მეცადინეობით და გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების საკონტაქტო საათები, რადგან 1-საათიან მეცადინეობაზე შეუძლებელია ცხოველთა აგებულების შესწავლა, მათი სახეობრივი თავისებურებების იდენტიფიცირება და სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება; 2) ძირითადი ლიტერატურიდან ამოღებული იქნას ელაინ მერიებ „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“ (მე-8 გამოცემა, 2009 წ.; ქართულენოვანი სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია, სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა CD 2185. 204 გვ.) და ჩაემატოს ვლ.თვალიაშვილის „შინაურ ცხოველთა ანატომია“, თბილისი - 2020 წ. 341 გვ.;
6. სასწავლო კურსი „მათემატიკის საფუძვლები“ - უნდა მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
7. სასწავლო კურსი „ცხოველებთან მუშაობა“ - თემები: „ხორცი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის; ხორცის დანიშნულება-ადამიანის ჯანმრთელობისათვის“ უნდა ჩანაცვლდეს სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისი თემებით.
8. სასწავლო კურსი „შინაურ ცხოველთა ფიზიოლოგია“ - უნდა გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები.
9. სასწავლო კურსი „ცხოველთა დაავადებების პრევენცია“ - სასწავლო კურსის შინაარსი სცილდება „მეცხოველეობის“ ბაკალავრის კომპეტენციებს, ხოლო ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული სახელმძღვანელო არ მოიცავს სილაბუსით გათვალისწინებულ თემებს (სილაბუსში მითითებულია „ნაჭყეპია ჯ., და სხვ. 2005წ, ზოოჰიგიენა, გამომცემლობა თბილისი, თბილისი, 234-301 467 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა 614.9(02));
10. სასწავლო კურსი „კვების პროდუქტების კვლევის მეთოდები“ - ძირითად ლიტერატურას უნდა დაემატოს თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები (სილაბუსში მითითებულია „ა.ხარაზიშვილი. „რძე და რძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგია“ თბილისი 2010. გვ 322; სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა CD 1551 ვ);
11. სასწავლო კურსი „მეცხვარეობა“ - მითითებული სახელმძღვანელო „თ.პაიკიძე. მეცხვარეობა - თბილისი 2004 წელი გვ. 606“ დამხმარე ლიტერატურიდან უნდა იყოს გადმოტანილი ძირითად ლიტერატურაში (სილაბუსში მითითებულია „ვ. ღლიღვაშვილი - მეთხეობის დარგის და პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია (სახელმძღვანელო) 2001- კეტერი 636.39(02/1), გვ. 280“ და „რ. მიტიჩაშვილი- ცხოველთა მომშენებლობა თბილისი - 2010 წელი; 636.(02):2 152-399 გვ. “);
12. სასწავლო კურსი „კომპანიონი ცხოველები“ - ძირითად ლიტერატურას დაემატოს თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები. (სილაბუსში მითითებულია: 1. ე. ტიტვინიძე, ნ. დიაკოვა, მ. ცინცაძე, ნ. ორჯანელი – ძაღლის სრულფასივანი და სამკურნალო კვება, თბილისი, 2009წ, 136 გვ. 636.7(02):1; 2. მ. ცინცაძე. ნ.ორჯანელი. ნ. ნატროშვილი - „ცხოველებთან მუშაობა-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 636 (02) გამოცემულია თბილისი 2021 წ. გვ. 209.
13. სასწავლო კურსი „კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია“ - ძირითად ლიტერატურას დაემატოს სასწავლო კურსის ალტერნატიული თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები. (სილაბუსში მითითებულია 1. ა.ხარაზიშვილი - „რძე და რძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგია“ თბილისი 2010. გვ 322; სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა CD 1551 ვ.
14. სასწავლო კურსი „ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები“ - ძირითად ლიტერატურას დაემატოს თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები. (სილაბუსში მითითებულია 1. ვ.

ქვაჭრელიშვილი თანაავტორობით - ზოგიერთი შინაური ცხოველის, ფრინველის და თევზის ნორმალური ანატომია. ინდ.მეწ. გოჩა დალაქიშვილი, თბილისი, 2009, 274 გვ. 591.4(02):1, 2. ე. ტიტვინიძე, ნ. დიაკოვა, მ. ცინცაძე, ნ.ორჯანელი–ძაღლის სრულფასოვანი და სამკურნალო კვება, თბილისი, 2009, 136 გვ. 636.7(02):1.

15. ზოგიერთი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა წარმოდგენილია დიდი მოცულობით. მაგალითად, ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები 7 კრედიტი; ლაქტაციის ბიოლოგია 7 კრედიტი, კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია 7 კრედიტი, ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები 5 კრედიტი, კომპანიონი ცხოველები 5 კრედიტი. აღნიშნული კრედიტების შემცირების ხარჯზე შესაძლებელია სასწავლო კურსების: ცხოველთა ანატომიის, რომელიც დღეისათვის 4 კრედიტს შეადგენს და საწარმოო პრაქტიკის კრედიტების (რომელიც დღეისათვის 5 კრედიტს შეადგენს) და შესაბამისად, საკონტაქტო საათების გაზრდა.
16. გადაიხედოს და დაკორექტირდეს პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები რელევანტური და მკაფიო ფორმულირების თვალსაზრისით.
17. პროგრამის კომპონენტი „საწარმოო პრაქტიკა“ უნდა განხორციელდეს სილაბუსით განსაზღვრულ პრაქტიკის ობიექტებზე, პრაქტიკის გავლის პირობები კი (მაგ., ხანგრძლივობა, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, სხვ.) მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული შეთანხმებით/ხელშეკრულებით/მემორანდუმით/სხვ.
18. გაუქმდეს „საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში (რუბრიკა „სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები“) არსებული ჩანაწერი სტუდენტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.
19. გადაიხედოს და დაკორექტირდეს შეფასების კრიტერიუმები შეფასების მეთოდების (თეორიული / პრაქტიკული დავალება) სპეციფიკის შესაბამისად.
20. რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლი გარე შეფასებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე და პროგრამის შიდა შეფასებისას შეისწავლოს ამ რეკომენდაციების შესრულებით მიღებული შედეგი.
21. რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები და პროგრამის პერსონალის კონსულტირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგ., სწავლის შედეგების ფორმირება, ფორმულირება და გაზომვადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დასკვნაში განისაზღვრა, წარმოადგენს ახალ რეკომენდაციას. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, პროგრამის სწავლის შედეგი: “აღწერს და იცავს ცხოველთა და ფრინველთა სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს და ცხოველური წარმოშობის გადაუმუშავებელ ნედლეულის წარმოების ბიოუსაფრთხოების წესებს და პრევენციას” შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონეს, სწავლის შედეგი არის თვალსაჩინო და გაზომვადი. შესაძლებელია სწავლის შედეგის შეფასება. სწავლის შედეგი რეალისტური და მიღწევადია. რაც დასტურდება პროგრამის დანართებით: #1, აგრეთვე დანართი #5-ით. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე წარდგენილი დოკუმენტაციით სწავლის შედეგების, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასებებითაც. სწავლის შედეგის ფორმირებისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომია.

რაც შეეხება მე-2 და მე-3 რეკომენდაციებს, პროგრამის შედეგის „წინასწარ განსაზღვრული მითითებებით თეორიული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროქტის განხორციელება, რომელიც დაკავშირებული იქნება მეცხოველეობის სფეროსთან“ სწავლის ზემოაღნიშნული შედეგი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონეს. მიღწევა კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების ნაწილში უზრუნველყოფილია ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე

პროგრამის სასწავლო კომპონენტების დონეზე. ამ შედეგის მიღწევას განმტკიცების დონეზე უზრუნველყოფს 10 სასწავლო კურსი და არცერთი მათგანი არ მიეკუთვნება „სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს“. ამ მიზნით გამოყენებულია ადეკვატური შეფასების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უნარის დადასტურებას. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე წარდგენილი დოკუმენტაციით სწავლის შედეგების როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი შეფასებებითაც. სწავლის შედეგი: „დამოუკიდებლად აფასებს რა საკუთარი სწავლის პროცესს, გეგმავს სწავლის გაგრძელების შემდგომ საჭიროებას და წარმართავს მას“. დაწესებულებას მიაჩნია, რომ შესაძლებელია იყოს როგორც სასწავლო კურსის ასევე პროგრამის სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები ზოგიერთი გაცნობის დონეზე, ზოგი გაღრმავების დონეზე და ზოგიერთი მათგანი განმტკიცების დონეზე.

მნიშნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაციის აღნიშვნა, კერძოდ, ზემოაღნიშნული პროგრამა შემუშავდა აიოვას უნივერსტეტთან ურთიერთანამშრომლობით. სწორედ უცხოელი კოლეგების მოთხოვნა იყო ანატომიის საგნის სწავლება განხორციელებულიყო 1 სემესტრის განმავლობაში. რადგან ეს იყო მეცხოველეობის პროგრამა და არა ვეტერინარიის. შესაბამისად, უნივერსიტეტის პოზიციაა, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციის სტატუსი შედეგობრივად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და 2.2 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რაც შეეხება სასწავლო კურსებში ლიტერატურის დამატების საკითხს, სასწავლო კურსი „შინაურ ცხოველთა ანატომია“ არის ამერიკელი ექსპერტების მიერ რეკომენდურებული „შინაურ ცხიველთა ანატომია და ფიზიოლოგიის“ შემადგენელი ნაწილი „Domestic Animal Anatomy and Physiology”, რომელიც ითვალისწინებდა ლაბორატორიული მეცადინეობების არსებობას. 1) წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, ეს საგანი იყო გაყოფილი ორ საგნად: „შინაურ ცხოველთა ანატომია“ და „შინაურ ცხოვთა ფიზიოლოგია., რომლებსაც მიენიჭა 4-4-კრედიტი და საერთო პროგრამის ბალანსი არ დარღვეულა. 2) რაც შეეხება სავალდებულო ლიტერატურას, ამერიკელი ექსპერტების რეკომენდაციით სავალდებულო ლიტერატურის სახით მითითებულია ელაინ მერიებიუს „ ადამიანის ანატომია დას ფიზიოლოგია“ რომლის ქართულენოვანი სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია არის სტუ-ს ცენტრალურ ბიბილიოთეკაში. სასწავლო კურსი „შინაურ ცხოველთა ანატომია“ უზრუნველყოფილია როგორც ძირითადი , ასევე დამატებითი ლიტერატურით.

დაწესებულება, ასევე, არ იზიარებს რეკომენდაციას ლაბორატორიული სამუშაოების გაზრდასთანს დაკავშირებით, კერძოდ სასწავლო კურსი „ შინაურ ცხოველთა ფიზიოლოგია“ მსგავსად „შინაურ ცხოველთა ანატომია“-ს სასწავლო კურსისა არის „შინაურ ცხოველთა ანატომია და ფიზიოლოგიის“ კურსის ნაწილი და ამიტომ მისი ლაბორატირიული მაცადინეობების საათების გაზრდა არ განიხილება.

მნიშვნელოავნია, ასევე, რომ უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის პერიოდში მიღებული ყველა რეკომენდაცია, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა გარე შეფასებები, ჩატარებული გამოკითხვის შედეგები და პროგრამის შიდა შეფასებისას შეფასდა ამ რეკომენდაციების შესრულებით მიღებული შედეგი. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ოქმებით და დამატებით მოთხოვნილი და წარდგენილი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის ნაწილს, საწარმოო პრაქტიკა“ ხორციელდება სასწავლო კურსით გათვალისწინებული პირობებით. ხოლო პრაქტიკის ობიექტები განისაზღვრება სათანადო მხარეებთან გაფორმებული მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით, სადაც განსაზღვრულია ყველა არსებითი პირობა, მათ შორის ხანგრძლივობა, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა. პროგრამის ფარგლებში, კომპონენტი „საწარმოო პრაქტიკა“, არსებული პანდემიის პირობების გათვალისწინებით, ხორციელდებოდა სილაბუსის შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სილაბუსებთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შესწორებული იყო აკრედიტაციის ექპერტთა ყველა რეკომენდაცია. თუმცა ამავდროულად ექსპერტების მიერ მოხდა ახალი რეკომენდაციების განსაზღვრა. რაც

შეეხება შეფასების სისტემას, ექსპერტების პოზიცია და გაცემული რეკომენდაცია ერთმანეთთან შეუსაბამობაშია. სასწავლო კურსების „შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები“ არის ადეკვატური და შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას. პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლის მნიშვნელოვანია მოხდეს უკვე შესრულებული რეკომენდაციების შეფასება და შემდგომ უკვე ახალი რეკომენდაციების განხილვა. ამასთან პროგრამა არის მეცხოველეობა და მას არანაირი კავშირი არ აქვს ვეტერინარიასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სილაბუსში მოცემული სახელმძღვანელო ცხოველთა ანატომიის შესწავლისთვის არ გამოდგება. ამასთან, ზოგიერთ სასწავლო კურსში საერთოდ არ არის მითითებული ძირითადი ლიტერატურა. ეგზოტიკური ცხოველები, ასევე, ისწავლება სახელმძღვანელოთი, სადაც აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული რჩევა და რეკომენდაცია ემსახურება პროგრამის განვითარებას. სასწავლო კურსი „შინაურ ცხოველთა ანატომიის“ პრაქტიკული უნარების სწავლება ხდება ცხოველთა ნატურალური ჩონჩხებით, მულაჟებით, სველი პრეპარატებით, რომელიც წინასწარ მომზადებულია თვალსაჩინოებისათვის. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობა. სასწავლო კურსში „შინაურ ცხოველთა ანატომიის“ ძირითად ლიტერატურაში მითითებული ელაინ მერიე ბიუს „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“ სალექციო კურსი ვერ უზრუნველყოფს ცხოველთა ანატომიის სწავლებას, ხოლო მეორე ძირითადი სახელმძღვანელო „ვ. ქვაჭრელიშვილის თანაავტორობით – ზოგიერთი შინაური ცხოველის, ფრინველის და თევზის ნორმალური ანატომია“, გამოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის (ნინო მილაშვილის) თანაავტორობით. სახელმძღვანელოში მოცემულია მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორის, ქათმის და თევზის ანატომიური აგებულების თავისებურებანი და განკუთვნილია კვების პროდუქტების ტექნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისთვის. აგრეთვე დახმარებას გაუწევს ზოოტექნიკოსებს, მეფრინველეობის და მეთევზეობის დარგში მომუშავე ფერმერებსა და პრაქტიკოსებს. ამიტომ რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელო ჩანაცვლდეს ვლ. თვალიაშვილის „შინაურ ცხოველთა ანატომიის“ ახალი სახელმძღვანელოთი.
ამასთან, სასწავლო კურსის „ცხოველთა დაავადებების პრევენცია“ შინაარსობრივად სცილდება მეცხოველეობის ბაკალავრის კომპეტენციებს, ხოლო ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული სახელმძღვანელო არ მოიცავს სილაბუსით გათვალისწინებულ თემებს (სილაბუსში მითითებულია „ნაჭყებია ჯ., და სხვ. 12 „ზოოჰიგიენა“, თბილისი, 2005, სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა). აღსანიშნავია ისიც, რომ სილაბუსში გათვალისწინებული ცხოველთა დაავადებების კვლევის მეთოდები, პათოლოგიური მასალის აღების წესები და ბიოუსაფრთხოება, წამლის ორგანიზმში შეყვანის გზები, კასტრაცია, სამეანო დახმარება, იმუნოლოგია, ვაქცინაცია, მისი პრინციპები და გამოყენება პრაქტიკაში და სხვა წარმოადგენს ვეტერინარიის სწავლების სფეროს და ყველა შემთხვევაში უნდა გაემიჯნოს მეცხოველეობის ბაკალავრიატის სწავლების სისტემას. მთლიანობაში მითითებული სასწავლო კურსი არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „შინაურ ცხოველთა ანატომია“ ძირითად ლიტერატურაში მითითებული სალექციო კურსი - „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, ხოლო მეორე სასწავლო კურსის „ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები“ ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელო - ,,ზოგიერთი შინაური ცხოველის, ფრინველის და თევზის ნორმალური ანატომია“, ვერ ფარავს შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ თემებს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, როგორ უნდა უზრუნველყოთ სასწავლო კურსების ხარისხიანი სწავლება. აღნიშნულიდან

გამომდინარე, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მიეთითოს თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი „ცხოველთა დაავადების პრევენცია“ არის ამერიკელი ექსპერტების მიერ რეკომენდირებული სასწავლო კურსი და სილაბუსი შემუშავებულია მათთან თანამშრომლობით. ამასთან დაწესებულება აქტიურად მუშაობს ლიტერატურის დახვეწასა და საბიბლიოთეკო რესურსის გამრავალფეროვნებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:56
დასრულების დრო: 19:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის, დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1.2 უნდა გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ერთდროულად მოიცავს არაერთგვაროვან/განსხვავებულ კომპეტენციებს (მაგ., ცოდნას და უნარს), რაც უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვადობას და მიღწევის დადასტურების შესაძლებლობა, რომ გამოირიცხოს პროგრამის სწავლის შედეგისა და სხვადასხვა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსების შედეგების იდენტურობა

2.3 სასწავლო კურსების - „კვების პროდუქტების კვლევის მეთოდები“, „კომპანიონი ცხოველები“, „მეცხვარეობა,“ „კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია“, „ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები,“ „შინაურ ცხოველთა ანატომია“ - ძირითად ლიტერატურაში მიეთითოს თემატიკის შესაბამისი სახელმძღვანელოები;

- სასწავლო კურსში „მათემატიკის საფუძვლები“ - მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის („ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები'', „ლაქტაციის ბიოლოგია'', „კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია'', „ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები'', „კომპანიონი ცხოველები'') კრედიტების რაოდენობის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს სასწავლო კურსის - „ცხოველთა ანატომიის'' და „საწარმოო პრაქტიკის'' კრედიტების რაოდენობა;

- სასწავლო კურსში „შინაურ ცხოველთა ანატომია“ ლაბორატორიული მეცადინეობა ჩანაცვლდეს პრაქტიკული მეცადინეობით და გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების საკონტაქტო საათები.
- სასწავლო კურსში „შინაურ ცხოველთა ფიზიოლოგია“ - გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები;
- სასწავლო კურსში „ცხოველებთან მუშაობა“ - თემები: „ხორცი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის; ხორცის დანიშნულება-ადამიანის ჯანმრთელობისათვის“ ჩანაცვლდეს სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისი თემებით;

- სასწავლო კურსის „ცხოველთა დაავადებების პრევენცია“ - შინაარსი სცილდება „მეცხოველეობის“ ბაკალავრის კომპეტენციებს, ხოლო ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული სახელმძღვანელო არ მოიცავს სილაბუსით გათვალისწინებულ თემებს.

- გადაიხედოს და დაკორექტირდეს პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები რელევანტური და მკაფიო ფორმულირების თვალსაზრისით

2.4 პროგრამის კომპონენტი „საწარმოო პრაქტიკა“ უნდა განხორციელდეს სილაბუსით განსაზღვრულ პრაქტიკის ობიექტებზე, პრაქტიკის გავლის პირობები კი (მაგ., ხანგრძლივობა, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, სხვ.) მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული შეთანხმებით/ხელშეკრულებით/მემორანდუმით/სხვ.
2.5 გაუქმდეს „საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში (რუბრიკა „სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი 31 აქტივობები“) არსებული ჩანაწერი სტუდენტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ
2.6 რეკომენდაციები: ი გადაიხედოს და დაკორექტირდეს შეფასების კრიტერიუმები შეფასების მეთოდების (თეორიული / პრაქტიკული დავალება) სპეციფიკის შესაბამისად

5.1 რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურმა გააძლიეროს კონტროლი გარე შეფასებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე და პროგრამის შიდა შეფასებისას შეისწავლოს ამ რეკომენდაციების შესრულებით მიღებული შედეგი.
რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები და პროგრამის პერსონალის კონსულტირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგ., სწავლის შედეგების ფორმირება, ფორმულირება და გაზომვადობა.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ საქართველოს ტექნიკური "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა Animal Husbandry
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსგადაწყვეტილება No63, 30/03/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცხოველეობის მაგისტრი Master of Animal Husbandry
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0811 მემცენარეობა და მეცხოველობა/ Crop and livestock production (0811.2.3 მეცხოველეობა/ Animal Husbandry)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	აქართველო, 0192, თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N17, თბილისი, მე-11 კორპუსი
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების საფუძელზე. 2022 წლის 14 ივნისს განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, „მეცხოველეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით.
აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტით, რომელიც წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, გაესაუბრნენ ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებს და დაათვალიერეს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში. ასევე, შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2020 განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნას და რეკომენდაციებს, რომლებიც განხილულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, და მოისმინეს დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებები ამ რეკომენდაციებთან და მათ შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი მიგნებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის, დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრებისა და პროგრამის მატერიალურტექნიკური რესურსის დათვალიერების შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დასკვნის პროექტი.
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - არ შეფასებულა.
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მათი გაზომვადობის ჭრილში.
2. სასწავლო კურსი ცხვრის მოშენება, კვება ხორცის, მატყლის და რძის პირველადი გადამუშავება“ - სილაბუსში ლაბორატორიული მეცადინეობის თემები გაიმიჯნოს სემინარული/პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებად, რადგან თემების გარკვეული ნაწილი არ არის ლაბორატორიული ხასიათის (მაგლითად, თემა 1. შესავალი. მეცხვარეობის ზოგადი მიმოხილვა ცხვრის წარმოშობა და მისი ბიოლოგია და სხვ.); ძირითად ლიტერატურას დაემატოს ცხოველთა (ცხვრის) კვების თემატიკის შემცველი სახელმძღვანელო (სილაბუსში მითითებულია: 1. თ. პაკიძე - მეცხვარეობათბილისი 2004 წელი გვ 606, სტუ კეტერი CD1546. 2. რ. მიტიჩაშვილი. ცხოველთა მომშენებლობა, თბილისი -2010 წელი, 800გვ.სტუ კეტერი 636 (02):2)
3. სასწავლო კურსი „ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-შენახვა და კვება“ - 1) კურსის მიზანია: „შეასწავლოს ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების მოვლა-შენახვის და კვების თავისებურებანი ზოოლოგიურ პარკებში და სახლის პირობებში. მიიღოს ღრმა ცოდნა მათი აგებულების და ქცევის შესახებ; ახდენდეს საშიშ დაავადებათა პრევენციას. მოთხოვნილების გათვალისწინებით მოხდეს ინოვაციური საკითხების შესწავლა და გაშუქება“. სასწავლო კურსის თემებში ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-შენახვა გათვალისწინებული არ არის. სილაბუსში ჩაემატოს სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი თემები და ძირითადი სახელმძღვანელო (სილაბუსის ძირთად ლიტერატურაში მითითებულია 1. ვ.ქვაჭრელიშვილი თანაავტორობით–ზოგიერთი შინაური ცხოველის, ფრინველის და თევზის ნორმალური ანატომია. ინდ.მეწარმე გოჩა დალაქიშვილი, თბილისი, 2009.გვ.274, კეტერი 591.4(02):1. 2. ე.ტიტვინიძე, ნ.დიაკოვა, მ.ცინცაძე, ნ.ორჯანელი – ძაღლის სრულფასოვანი და სამკურნალო კვება., თბილისი, 2009, 136 გვ. კტ 636.7 (02):1. 2) სასწავლო კურსის მიზანში გათვალისწინებული ჩანაწერი „ახდენდეს საშიშ დაავადებათა პრევენციას”, სცდება „მეცხოველის“ კომპეტენციებს. საჭიროა სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების მოდიფიცირება.
4. პროგრამის კომპონენტი „საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2“ - განხორციელდეს პრაქტიკის სილაბუსში მითითებული თემების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში გადაიხედოს სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, კერძოდ გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული უნარების შეფასების მექანიზმები, რომლებიც ტესტებით და საშინაო დავალებებით ვერ შეფასდება.

6. რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები და პროგრამის პერსონალის კონსულტირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგ., სწავლის შედეგების ფორმირება, ფორმულირება და გაზომვადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები არის ახალი, ძველ დასკვნაში არსებული რეკომენდაციები კი დაწესებულების მიერ მთლიანად შესრულდა. პირველ სამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონეს, სწავლის შედეგი არის თვალსაჩინო და გაზომვადი. შესაძლებელია სწავლის შედეგის შეფასება. სწავლის შედეგი რეალისტური და მიღწევადია. რაც დასტურდება პროგრამის დანართებით: #1 და #2 აგრეთვე დანართი #5-ით. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე წარდგენილი დოკუმენტაციით სწავლის შედეგების, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასებებითაც. სწავლის შედეგის ფორმირებისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომია.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, უნდა განიმარტოს, რომ სასწავლო კურსები შემუშავებულია ერთობლივად და აიოვას უნივერსიტეტთან შესაბამისობაში. სასწავლო კურსი „ცხვრის მოშენება, კვება ხორცის, მატყლის და რძის პირველადი გადამუშავება“ იტვირთება ძირითადად ლაბორატორიულად მიღებული ცოდნით, ამიტომ გამართლებულია ლაბორატორიული მეცადინეობა. სასწავლო კურსი უზრუნველყოფილია როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ლიტერატურით, რომელიც ადეკვატური და ხელმისაწვდომია. სასწავლო კურსი „ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-შენახვა და კვება“ - სასწავლო კურსის მიზანია: „შეასწავლოს ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების მოვლა-შენახვის და კვების თავისებურებანი ზოოლოგიურ პარკებში და სახლის პირობებში. მიიღოს ღრმა ცოდნა მათი აგებულების და ქცევის შესახებ; ახდენდეს საშიშ დაავადებათა პრევენციას. მოთხოვნილების გათვალისწინებით მოხდეს ინოვაციური საკითხების შესწავლა და გაშუქება“. სასწავლო კურსის თემებში ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-შენახვა გათვალისწინებული არ არის. სილაბუსში ჩაემატოს სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი თემები და ძირითადი სახელმძღვანელო.
მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის პერიოდში მიღებული ყველა რეკომენდაცია, აგრეთვე გაითვალისწინა გარე შეფასებებიც, ჩატარებული გამოკითხვის შედეგები და პროგრამის შიდა შეფასებისას შეფასდა ამ რეკომენდაციების შესრულებით მიღებული შედეგი. პერსონალს უტარდება ტრეინინგები, რაც დასტურდება წარმოდგენილი ოქმებით და დამატებით მოთხოვნილი და წარდგენილი დოკუმენტაციით. 1.2 ქვესტანდარტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია და, შესაბამისად, ქვესტანდარტი 5.1 „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი შესრულებულია. შესასრულებელი დარჩა ,,ცხოველთა ანატომიის“ ორ სემესტრად სწავლება. თუმცა ექსპერტებს ევალებოდათ არა მხოლოდ მონიტორინგი, არამედ სტანდარტების შეფასება. ექსპერტების რეკომენდაციები მიმართულია მხოლოდ პროგრამის განვითარებისკენ. ის რაც წინა ექსპერტებმა უნივერსიტეტს მიუთითეს მეტწილად შესრულებულია და დაწესებულებას საკამოდ ბევრი აქვს ნამუშევარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ყველაფერს ცდილობს პროგრამის განვითარებისთვის. დაწესებულებამ სრულიად შეასრულა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, თუმცა კვლავ ანალოგიური საკითხები იქნა დასკვნაში განსაზღვრული.
დაწესებულების წარმომადგენელმა ეგზოტიკური ცხოველების სილაბუსთან მიმართებით აღნიშნა, რომ აშკარაა რომ დამხმარე ლიტერატურიდან უნდა მოხდეს ლიტერატურის გადმოტანა ძირითად ლიტერატურაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:56
დასრულების დრო: 19:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის, დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგი სახით:

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მათი გაზომვადობის ჭრილში.
2. სასწავლო კურსი ცხვრის მოშენება, კვება ხორცის, მატყლის და რძის პირველადი გადამუშავება“ - სილაბუსში ლაბორატორიული მეცადინეობის თემები გაიმიჯნოს სემინარული/პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებად, რადგან თემების გარკვეული ნაწილი არ არის ლაბორატორიული ხასიათის (მაგლითად, თემა 1. შესავალი. მეცხვარეობის ზოგადი მიმოხილვა ცხვრის წარმოშობა და მისი ბიოლოგია და სხვ.); ძირითად ლიტერატურას დაემატოს ცხოველთა (ცხვრის) კვების თემატიკის შემცველი სახელმძღვანელო (სილაბუსში მითითებულია: 1. თ. პაკიძე - მეცხვარეობათბილისი 2004 წელი გვ 606, სტუ კეტერი CD1546. 2. რ. მიტიჩაშვილი. ცხოველთა მომშენებლობა, თბილისი -2010 წელი, 800გვ.სტუ კეტერი 636 (02):2)
3. სასწავლო კურსი „ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-შენახვა და კვება“ - 1) კურსის მიზანია: „შეასწავლოს ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების მოვლა-შენახვის და კვების თავისებურებანი ზოოლოგიურ პარკებში და სახლის

პირობებში. მიიღოს ღრმა ცოდნა მათი აგებულების და ქცევის შესახებ; ახდენდეს საშიშ დაავადებათა პრევენციას. მოთხოვნილების გათვალისწინებით მოხდეს ინოვაციური საკითხების შესწავლა და გაშუქება“. სასწავლო კურსის თემებში ეგზოტიკური ცხოველების ფრინველების მოვლა-შენახვა გათვალისწინებული არ არის. სილაბუსში ჩაემატოს სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი თემები და ძირითადი სახელმძღვანელო (სილაბუსის ძირთად ლიტერატურაში მითითებულია 1. ვ.ქვაჭრელიშვილი თანაავტორობით–ზოგიერთი შინაური ცხოველის, ფრინველის და თევზის ნორმალური ანატომია. ინდ.მეწარმე გოჩა დალაქიშვილი, თბილისი, 2009.გვ.274, კეტერი 591.4(02):1. 2. ე.ტიტვინიძე, ნ.დიაკოვა, მ.ცინცაძე, ნ.ორჯანელი – ძაღლის სრულფასოვანი და სამკურნალო კვება., თბილისი, 2009, 136 გვ. კტ 636.7 (02):1. 2) სასწავლო კურსის მიზანში გათვალისწინებული ჩანაწერი „ახდენდეს საშიშ დაავადებათა პრევენციას”, სცდება „მეცხოველის“ კომპეტენციებს. საჭიროა სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების მოდიფიცირება.

4. პროგრამის კომპონენტი „საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2“ - განხორციელდეს პრაქტიკის სილაბუსში მითითებული თემების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში გადაიხედოს სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, კერძოდ გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული უნარების შეფასების მექანიზმები, რომლებიც ტესტებით და საშინაო დავალებებით ვერ შეფასდება.
6. რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები და პროგრამის პერსონალის კონსულტირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგ., სწავლის შედეგების ფორმირება, ფორმულირება და გაზომვადობა.

5.მეხუთე საკითხი : შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის “დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No453689, 17/05/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არ ენიჭება
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1, 0102, საქარტელო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
დაწესებულებამ პროგრამისთვის განსაზვრული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოადგინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადების დაცვით.
როგორც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშშია აღწერილი, დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელობით შეიქმნა რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა სამუშაო.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში დეტალურად აღწერს თითოეული რეკომენდაციის აღწერასა და რეკომენდაციის შესრულებისათვის განხორციელებულ ცვლილებებს. ანგარიშს თან ახლავს მტკიცებულებები, რომელიც განხორციელებული ცვლილებების ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.
მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ პირველი რეკომენდაცია შეასრულა, კერძოდ, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გადახედა პროგრამის სწავლის შედეგებს. მოდიფიცირების შედეგად განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზება. სწავლის შედეგები არის გაზომვადი და რეალისტური, თუმცა მასში მკაფიოდ არ აისახა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციის სფეროს „პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა“

(მე-3 ბლოკი) შესაბამისი სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების მოდიფიცირების საპასუხოდ, დაწესებულებამ განახორციელა, ასევე, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზება.
ამასთან, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსში „პედაგოგიური კვლევა“ დაამატა სასწავლო თემები „პროფესიული განვითარების SWOT ანალიზი“ და „განვითარების სამოქმედო გეგმის შექმნა“. თითოეული კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება ზოგადი ჰოლისტური რუბრიკები. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, კონკრეტულად შეფასების რომელი კომპონენტის ფარგლებში ფასდება პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავების კომპეტენცია და რა ტიპის მტკიცებულებას წარამოადგებს სტუდენტი. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში საუბარია, რომ სტუდენტი შეიმუშავებს და მე-15 თემის ფარგლებში წარმოადგენს პროფესიული განვითარების გეგმას, თუმცა აღნიშნული გათვალისწინებული არ არის სილაბუსში, კერძოდ, კვირეების მიხედვით წარმოდგენილ გეგმაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ფორმა. აღნიშნული სასწავლო კურსის კვირეების მიხედვით გეგმიდან, შესაბამისი თემატიკიდან და სწავლის შედეგებიდან არ ჩანს გათვალისწინებულია თუ არა პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმების განხილვა და სწავლება. მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს, რომ პროგრამის მონაწილე პროფესიული განვითარების საჭიროებებს ადგენს პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამიტომ რეკომენდებულია, მან საკუთარი პროფესიული მიღწევები გაანალიზოს, განსაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები პროგრამის დასასრულს გავლილი სასწავლო კურსებისა და პრაქტიკის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის საფუძველზე. წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით კი, აღნიშნული აქტივობები დაგეგმილია მე-2 სემესტრის მე-4 და მე-5 კვირას, როცა სტუდენტი პრაქტიკული გამოცდილებისა და მეორე სემესტრში გათვალისწინებული კურსების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავების საწყის ფაზაშია. პრობლემურია, ასევე, ამავე კურსის ფარგლებში კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და მათი ანალიზის შესწავლამდე პრაქტიკის SWOT ანალიზის შემუშავება, როგორც ეს კურსის „პედაგოგიური პრაქტიკა“ ფარგლებშია დაგეგმილია.
მნიშვნელოვანია, ასევე, რომ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა მკაფიო და რელევანტური პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგებთან, პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკები. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, ასევე, განახლებული პროგრამის სწავლის შედგების შეფასების გეგმა, სადაც მოცემულია თუ რომელი შეფასების კომპონენტის ფარგლებშია დაგეგმილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. აღნიშნული დოკუმენტის შესწავლის შედეგად ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასებისას ბუნდოვანი რჩება, რომელი კურსის ფარგლებში ხდება სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება და სამიზნე ნიშნულთან მათი დადარება. მაგ. სწავლის შედეგი - იაზრებს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვას და შეფასებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმისა და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. შეფასების მეთოდი - კომპლექსური დავალება / პრეზენტაცია. სამიზნე ნიშნული - სტუდენტების მინიმუმ 70% მიიღებს - 8- 10 ქულას. დოკუმენტში არ არის მითითებული რომელი კურსის ფარგლებშია გათვალისწინებული შეფასების კონპონენტი „კომპლექსური დავალება“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა 60 ადგილი, რომელიც მთლიანად შეივსო. აღნიშნული კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პროგრამა წარმატებით ხორციელდება.

რაც შეეხება რეკომენდაციების საკითხს, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ მოახდინა სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, რის შედეგადაც მოხდა სამივე ბლოკის გათვალისწინება.

მე-2 რეკომენდაცია ეხებოდა სამიზნე ნიშნულებს, კერძოდ, აღსანიშნავია, რომ აკადემიაში შემუშავებულია ოთხი ტიპის რუკა. პირველი ეს არის პროგრამის მიზნებისა და სწავლების შესაბამისობის რუკა; სწავლის შედეგებისა და შესაბამისობის რუკა; კურიკულუმის რუკა და მეოთხე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ამ დოკუმენტების საფუძველზე, დაწესებულებამ ზედმიწევნით იცის თუ რომელი სასწავლო კურსი გადის რომელ შედეგზე. შესაბამისად, შედეგის შეფასება და გაზომვაც ამის მიხედვით ხდება.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნები და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის პირობები, განსაზღვრა გამოცდის ფორმა და შეფასების რუბრიკა. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პრაქტიკის ობიექტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. სადაც დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული საკითხი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა სასწავლო კურსები "დაგეგმვა და შეფასება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე" და " ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" გაერთიანდეს 7 კრედიტიან სასწავლო კურსად (ჩაშენებული პრაქტიკით-1 კრედიტი) და სტუდენტებს მისი არჩევის შესაძლებლობა მიეცეთ პირველ სემესტრში და განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა სულ 2 სემესტრს მოიცავს დაწესებულების მიერ მიანც მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება. თუმცა დაწესებულება არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებს მსგავსი სწავლის შედეგები აქვთ და უნდა მოხდეს მათი გაერთიანება.

რაც შეეხება რეკომენდაციას პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების შესახებ, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი ტიპის პრაქტიკა: პირველი პრაქტიკა ხორციელდება პირველი სემესტრის ბოლო, როცა სტუდენტები დამკვირვებლის პოზიციით შედიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო მეორე სემესტრის ბოლო ეთმობა, უშუალოდ, პრაქტიკაში ჩართულობას. აღნიშნულის ფარგლებში სტუდენტები, უშუალოდ, მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის შესრულებისთვის საუკეთესო შესაძლებლობა იყო პრაქტიკის კურსში იმ საკითხების შეტანა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა სტუდენტს იმ ტიპის ცოდნა მიეღო, რომელიც მას გამოადგებოდა პრაქტიკის შესაფასებლად და გასააზრებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:13
დასრულების დრო: 20:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება -

I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6.მეექვსე საკითხი : სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No442166, 13.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოქიმია 0512
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა No59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი No5, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 13 მაისის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და ვალდებულებად განესაზღვრა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ 1 წლის თავზე ანგარიშის არმოდგენა და 2 წლის შემდეგ მონიტორინგი. საბჭოს გადაწყვეტილებასთან სრულ შესაბამისობაში საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენა მოხდა 2022 წლის 13 მაისს. სასწავლო პროგრამის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2021 წლის 1 ივლისს ჩატარდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და პროგრამის ხელმძღვანელის შეხვედრა პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან. ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რეკომენდაციების შესწავლა, მათი შესრულებისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის „ბიოლოგია“ ხელმძღვანელი და გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორები. პერიოდულად იმართებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები შესრულებული სამუშაოს მონაცემთა შესაგროვებლად და გასაანალიზებლად, რის საფუძველზე მომზადდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)“ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.
წარდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო დაწესებულება ზედმიწევნით ასრულებს აკადემიური საბჭოს მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს, რაც მოცემულ პერიოდში აისახა პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გაუმჯობესებაში. ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენაში და მაშასადამე სასწავლო-კვლევითი ინფრასტრუქტურის მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებაში თუმცა ამ მიმართულებით შემდგომი განვითარებაა საჭირო; მხარდაჭერილია სტუდენტების ჩართვა

საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კვლავ ყურადღებას მოითხოვს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება.
შესაბამისად, ამ ეტაპზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები დადებით შეფასებას იმსახურებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება ექსპერტის დასკვნას. რაც შეეხება რეკომენდაციებს დაწესებულებას უმრავლესობა შესრულებული აქვს და კვლავ აგრძელებს ამ კუთხით პროგრამის განვითარებას. ამ ეტაპისთვის დარჩენილია მხოლოდ ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტს მითითებული აქვს, რომ მე-3 რეკომენდაცია სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაწესებულებას ნაწილობრივ აქვს შესრულებული, შესაბამისად, მოუწოდა მხარეებს საკითხის დაზუსტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა ერთ-ერთი რეკომენდაცია რომელიც გულისხმობდა, რომ ინსტიტუციამ შეიმუშავოს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და შენარჩუნების მომსახურების გეგმა შესრულების ვადებისა და ფინანსური გეგმის მითითებით. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა მდგომარეობაშია აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა, თუ ამ ეტაპზე ბიუჯეტის გეგმა გაწერილი არ არის, როგორ მოხდება 2023 წლის მაისის თვეში მისი ხარჯვითი ნაწილის განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერისტეტმა რამდენიმე ანალოგი პროგრამა გამოიყენა პროგრამაზე მუშაობის დროს და კვლავ აგრძელებს გარკვეული საკითხების დახვეწასა და განვითარებას. მომავალში დაწესებულება კიდევ აპირებს შედეგების გადახედვასა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დახვეწას.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებას გეგმა უკვე შემუშავებული აქვს , თუმცა რაც შეეხება ფინანსურ დოკუმენტს, მიმდინარეობს აღნიშნულის შემუშავების პროცესი. სამწუხაროდ, ანგარიშისთვის აღნიშნული პროექტი არ იყო დასრულებული და, შესაბამისად, არ მომხდარა მისი წარმოდგენა.
რაც შეეხება ბიუჯეტს, უნივერსიტეტის ბიუჯეტში ანალოგიური ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 200 000 ლარი. უბრალოდ, ეს თანხა გაიწერება კონკრეტულად თუ რაში რა გაიხარჯება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:46
დასრულების დრო: 21:14

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის, დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები.
რეკომენდაციები:
1.2 დაზუსტდეს სწავლის შედეგები საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც ბიოტექნოლოგიის მიმართულების წარმატებით დასამკვიდრებლად, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსიტეტებში.
2.3 სასურველია სილაბუსებში ლიტერატურის შემოწმება და განახლება. კერძოდ, თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება, ასევე არააკადემიური წყაროების ამოღება.
4.4 ინსტიტუციამ შეიმუშაოს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და შენარჩუნება-მომსახურების გეგმა, შესრულების ვადების და ფინანსური რესურსების მითითებით.
5.1 რეკომენდირებულია შეფასების მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება.
5.2 რეკომენდირებულია ეფექტური გამოკითხვის ფორმულარების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული პრობლემების გამოვლენას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 20:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა